ახალციხის საკრებულოს 2023 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	8
თავი 4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	10
თავი 5. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	12
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები	13
თავი 7. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	15
თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	17
თავი 9. საკრებულოს ხარჯები	18
რეკომენდაციები:	20

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აფასებს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ახალციხის საკრებულო საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელ ორგანოზე **სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა**, ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

- ახალციხის საკრებულომ **მკვეთრად გააუარესა საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა**. წინამდებარე შეფასების მომზადებისას საკრებულომ არ მოგვაწოდა დეპუტატების სიტყვით გამოსვლის, ასევე, მათ მიერ მერისა და სხვა თანამდებობის პირების საკრებულოში დაბარების და მათი მხრიდან მერიაში წერილობით გაგზავნილი შეკითხვების, ან წინადადებების შესახებ ინფორმაცია.

- ახალციხის საკრებულოს **თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის, ეთიკის ნორმების დარღვევის ან ინტერესთა კონფლიქტის ფაქტები არ გამოუვლენია.** 2023 წელს საკრებულოს 4 დეპუტატის და მათი ოჯახის წევრების კომპანიებმა მხოლოდ ახალციხის მერიიდან და მისი იურიდიული პირებიდან სახელმწიფო შესყიდვებით **6,480,666** ლარი მიიღეს.

- ახალციხის მერიამ, საკრებულოს თანხმობით, 2023 წელს, **8** არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (სულ - 790 კვ.მ ფართობი) ელექტრონული აუქციონით გაყიდა. აქედან 4 ნაკვეთი (623 კვ.მ.) ახალციხის საკრებულოს დეპუტატმა, ასევე, მათთან და მერიის თანამშრომლებთან დაკავშირებულმა პირებმა იყიდეს.

- საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ **14** სხდომა გამართა და კენჭისყრაზე გატანილ **105-ვე** საკითხს მხარი დაუჭირა. ერთადერთი საკითხი, რომელიც საკრებულომ მერიას შენიშვნებით უკან დაუბრუნდა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი იყო.

- საკრებულოს **39** დეპუტატიდან **7-მა** ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, ყოველწლიური ანგარიში არ წარადგინა. ანგარიშების ფორმებიდან გამქრალია შეკითხვა, თუ რამდენი ინიციატივა წარადგინა დეპუტატმა. მათი ჩართულობით კონკრეტულად მოგვარებულ, ჯამში, 35 საკითხზე, მხოლოდ 11 დეპუტატი უთითებს, თუმცა, მათ შორის 15 საკითხი ემთხვევა.

- ახალციხის საკრებულოს **22** თანამდებობის პირიდან **6-მა** ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები ხარვეზებით შეავსო.

- საკრებულოში მოქმედი სამი ფრაქციიდან ინიციატივა არცერთს არ წარუდგენია. ფრაქციების საქმიანობაზე, ჯამში, **368,462 ლარი** დაიხარჯა.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს, საანგარიშო პერიოდში, არც სამართლებრივი აქტების პროექტების ანალიზი განუხორციელებია, არც გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგის სისტემის შემუშავებაზე უმუშავია და არც რეკომენდაციები მოუმზადებია.

- ახალციხის საკრებულომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარდგენილი **პეტიცია არ დაარეგისტრირა.**

- 2023 წელს, ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა **1,223,706** ლარი შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებში, დანამატებსა და ჯილდოებში, სულ **1,123,491** ლარი გაიცა.

- ერთ წელში საკრებულომ **33,251 ლიტრი** საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **89,199 ლარი** შეადგინა. აქედან 9,834 ლიტრი საწვავი (ჯამური ღირებულებით 26,588 ლარი) საკრებულოს თავმჯდომარემ და მისმა სამმა მოადგილემ გახარჯა.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ

ახალციხის საკრებულოში 39 წევრია:



ახალციხის საკრებულოს 39 წევრიდან **22** თანამდებობის პირია.

საკრებულოში **11 ქალია,** მათგან თანამდებობა 5-ს უკავია.

ახალციხის საკრებულოში, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია 5 კომისიაა:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე მარიამ გოგოლაძე;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძე;
3. სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე ნინო მიქაბერიძე;
4. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზოია ბალიაშვილი;
5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ნოდარ ტალახაძე.

საკრებულოში **3** ფრაქციაა. ფრაქცია **„ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს"** თავმჯდომარეს, ბესიკ ბლიაძეს 7 მოადგილე ჰყავს, ფრაქცია **„დამოუკიდებელი დეპუტატების"** თავმჯდომარეს, დავით ახალკაცს - 2, ფრაქცია **„ახალციხე საქართველოსთვის"** ხელმძღვანელს, გიორგი გიორგაძეს - ერთი.

ცვლილებები ახალციხის საკრებულოში

ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების" 6-ვე წევრი დავით ახალკაცი, ქეთევან ბარძიმაძე, კობა სანდროშვილი, ბესიკ ოქრომელიძე, ნატო დარბაიძე და იოსებ დემეტრაძე, 2023 წლის სექტემბრამდე, საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" სახელით მუშაობდნენ. მათ პარტია უყურადღებობისა და უპატივცემულობის არგუმენტით დატოვეს. ამ ფრაქციის წევრი, ნატო დარბაიძე საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვალს შეუერთდა, მან ჩაანაცვლა გოჩა ინასარიძე, რომელსაც გაცდენების გამო შეუწყდა უფლებამოსილება.

2023 წლის 23 მაისს ახალციხის საკრებულოში „ქართული ოცნებიდან“ შევიდა მინაძის თემში არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი როინ ნებაძე. მან დაიკავა ამ თემში არჩეული დეპუტატის, ზაალ ბერიძის ადგილი, რომელიც 2022 წელს გარდაიცვალა.

საკრებულოს სხდომები:

საანგარიშო პერიოდში სულ საკრებულოს **14** და საკრებულოს ბიუროს **11** სხდომა გაიმართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი სხდომა არ ჩაშლილა. საკრებულოს მხოლოდ ერთი სხდომა იყო რიგგარეშე. იგი ახალციხის მერის ინიციატივით გაიმართა.

ერთი წლის განმავლობაში, საკრებულომ განიხილა **115** საკითხი (მათ შორის 10 ცნობად მიიღო) და კენჭისყრაზე ერთიც არ ჩავარდნილა.

საკრებულომ **31** დადგენილება დაამტკიცა. მათ შორის 27 დადგენილების პროექტი წარადგინა ახალციხის მერმა, ოთხი კი - საკრებულომ.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან 2 ნორმატიულ აქტზე მიიღო სამართლებრივი დასკვნა და გაითვალისწინა.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საკრებულომ ერთხელ მისცა მერს თანხმობა ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება . თუმცა, საკრებულომ 2023 წელს ასეთი თანხმობა 2 სახელმწიფო შესყიდვაზე გასცა:

- 2023 წლის 31 იანვარს, წაყუნეთი-ტყემლანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის- **1,878,921 ლარზე**
- 2023 წლის 9 ივნისს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ავტობუსების შესაძენად - **6,183,000 ლარზე.**

ასევე, საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საკრებულო მხოლოდ ერთხელ დაეთანხმა უსასყიდლოდ ქონების გაცემაზე - ააიპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტორ 2“-ს, სოფელ აწყურში, 320 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწა მისცეს სკოლის ასაშენებლად. თუმცა, ახალციხის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე იძებნება კიდევ ერთი განკარგულება, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს თანხმობით, ააიპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტორ 2“-ს, ქალაქ ვალეში, სტალინის N18-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5 264 კვ.მ. ფართობზე მდებარე შენობა-ნაგებობაც გადასცეს.

ახალციხის საკრებულომ, 2023 წლის დეკემბერში, მუნიციპალურ ბიუჯეტთან ერთად მიიღო დადგენილებები შემდეგ საკითხებზე:

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისავის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესი'';
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესი;
- 2023 წლის დეკემბერში საკრებულოსთვის წარდგენილი იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგემვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევის ანგარიში.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზციის, ან ლიკვიდაციის შესახებ წინადადება არ წარდგენია. თუმცა, 2023 წლის 23 მაისს ახალციხის საკრებულომ შპს „სერვისის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყებაზე მერს თანხმობა მისცა.

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, ერთი წლის განმავლობაში 39 დეპუტატიდან, რომელმა რამდენჯერ ისარგებლა სიტყვით გამოსვლის უფლებით, ან რომელი რამდენჯერ წარსდგა საკრებულოს წინაშე მოხსენებით. საკრებულომ მხოლოდ ის მოგვწერა, რომ „დეპუტატების მიერ მუდმივად ხდება განსახილველ საკითხებთან მიმართებაში აზრის დაფიქსირება, რაც შეიძლება ასევე შესაბამისი კომისიის სხდომის, ბიუროს ან საკრებულოს სხდომების პროცესში განხორციელდეს“.

საკრებულოს თანხმობით პრივატიზებული ქონება

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთული სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ დოკუმენტების მიხედვით, ახალციხის საკრებულოს თანხმობით, 2023 წელს, **8** არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ჯამში, **790 კვ.მ ფართობი** ელექტორნული აუქციონზე გაიყიდა. მათ შორის 4 ნაკვეთი, ჯამში, 623 კვ.მ. (გაყიდული ფართის **78.8%)** ახალციხის საკრებულოს დეპუტატმა, ასევე, მათთან და მერიის თანამშრომლებთან დაკავშირებულმა პირებმა იყიდეს:

- 2023 წლის 15 მაისს, 196 კვ.მ. რუსთაველის N122-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 19,992 ლარად, **უკონკურენტოდ** შეიძინა ახალციხის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ზოია ბალიაშვილის შვილმა, იაკობ ბალაიშვილმა. მან 2020-2022 წლებში, ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო შესყიდებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტი მიიღო.

- 2023 წლის 15 მაისს, ჯაყელის N23-ის მიმდებარედ, 313 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 25,040 ლარად, **უკონკურენტოდ**, ახალციხის საკრებულოს დეპუტატმა, გელა ჭალიძემ იყიდა. 2021 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ რაც ის საკრებულოს დეპუტატია, მისმა კომპანიებმა ახალციხის მერიიდან და მისი ააიპ-ებიდან, სახელმწიფო შესყიდვებით, 250,000 ლარზე მეტი მიიღეს. გელა ჭალიძემ „ქართულ ოცნებას“ 2021 წლის სექტემბერში 3,250 ლარი შეწირა.

- 2023 წლის 15 აგვისტოს, რუსთაველის N99-ის მიმდებარედ, 100 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, 19,074 ლარად, **უკონკურენტოდ** შეიძინა მანანა კბილაშვილმა. იგი ავთანდილ კაჭკაჭაშვილის მეუღლეა. ავთანდილ კაჭკაჭაშვილი 2014-2015 წლებში, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილი იყო. მას შემდეგ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“-ის დირექტორი და 15% წილის მფლობელია. აღნიშნულ შპს-ს სახელმწიფო შესყიდვებით 21 მლნ. ლარზე მეტი აქვს მიღებული. ავთანდილ კაჭკაჭაშვილმა „ქართულ ოცნებას“ 2021 წლის აგვისტოში 20,000 ლარი შეწირა. აღსანიშნავია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2-ში“ 15% წილს ახალციხის საკრებულოში ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ზოია ბალიაშვილის რძალი (შვილის მეუღლე). მედეა ხარაიშვილი ფლობს.

- 2023 წლის 16 სექტებმერს, 14 კვ.მ. ასპინძის ქუჩის N42-ის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1,652 ლარად, გიორგი თაქთაქიძემ იყიდა. მისი ბიძაშვილი ვახტანგი თაქთაქიძე ახალციხის მერის ფინანსური კონსულტანტია. გიორგი თაქთაქიძის ბიძა, როინ თაქთაქიძე, 2014-2016 წლებში, ახალციხის მერიაში ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი იყო. ასევე, როინ თაქთაქიძე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიაში „ქართული ოცნებას“ წარმოადგენდა.

თავი 3. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **34** სხდომა გამართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა. საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ერთადერთი საკითხი, რომელიც კომისიებიდან მერიაში შენიშვნებით დაბრუნდა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი იყო.

მერიამ მათი 2 შენიშვნა გაიზიარა, თუმცა რომელი შენიშვნები, საკრებულო არ გვიზუსტებს.

საანგარიშო პერიოდში, ხუთივე კომისიამ **77** სამართლებრივი აქტის პროექტი მოამზადა.

საკრებულოს კომისიების და მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა:



საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ახალციხის საკრებულოში მოქმედი **3** ფრაქციიდან არცერთს არ ჰქონია ინიციატივა. მათ არც ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები და არც წერილობითი ინიციატივები წარუდგენიათ.

2023 წელს ფრაქციების საქმიანობაზე გაწეული ხარჯები - სულ: 366 462 ლარი



319,440	სახელფასო ანაზღაურება
46,440	საწვავის ღირებულება
2,552	სატელეფონო კომუნიკაცია
30	სამივლინებო ხარჯი

თავი 4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ახალციხის საკრებულომ ორჯერ მოისმინა მერის ანგარიში:

- 2023 წლის 3 თებერვალს **დამაკმაყოფილებლად** შეაფასა 2022 წელს გაწეული მუშაობა;
- 2023 წლის 25 დეკემბერს **დადებითად** შეაფასა 2023 წელს გაწეული მუშაობა.

2023 წელს ორჯერ წარადგინა ანგარიში ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარემაც.

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენჯერ მოიწვია საკრებულომ, ან საკრებულოში შემავალმა ფრაქციამ, კომისიამ მერიის წარმომადგენლები ამა თუ იმ საკითხის განსახილველად. მოგვწერეს, რომ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები და წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ სხდომებში.

ახალციხის საკრებულომ 4 ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში და ოთხივე ცვლილების ინიციატორი იყო მერი.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს რაიმე სახის გადაცდომა, ან ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არ გამოუვლენია, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის საკრებულოს ორი დეპუტატი ზაზა მელიქიძე და გელა ჭალიძე პირადად არიან ჩართული ახალციხის მერიისა და მისი იურიდიული პირების სახელმწიფო შესყიდვებში. ასევე, აქტიურად იღებს სახელმწიფო შესყიდვებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიიდან და მისი იურიდიული პირებიდან კიდევ ორი დეპუტატის, ზოია ბალიაშვილისა[1] და ნოდარ ტალახაძის ოჯახის წევრების კომპანიები. აღსანიშნავია, რომ ნოდარ ტალახაძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის წევრიცაა.

2023 წელს ახალციხის საკრებულოს დეპუტატებმა და მათი ოჯახის წევრებმა მხოლოდ ახალციხის მერიიდან და მისი იურიდიული პირებიდან, ჯამში, 6,480,666 ლარის სახელმწიფო შესყიდვები მიიღეს:

ზაზა მელიქიძე

72,526 ლარი

გელა ჭალიძე

101,037 ლარი

ზოია ბალიაშვილი

3,199,030 ლარი

ნოდარ ტალახაძე

3,108,073 ლარი

1 ზოია ბალაიშვილის რძალი, შვილის მეუღლე, შპს „საგზაო სამშენებლო N2-“-ში 15% წილს ფლობს 2021 წლის ნოებრიდან.

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენმა საკრებულოს წევრმა მიმართა კითხვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მერს, ან სხვა თანამდებობის პირებს და რა საკითხებზე. ასევე, ვინ იყო ყველაზე მეტი კითხვის ადრესატი. საკრებულოდან ზოგადად მოგვწერეს, რომ „ საკრებულოს წევრების მიერ მუდმივად ხდება განსახილველ საკითხებთან მიმართებაში აზრის დაფიქსირება, რაც შეიძლება ასევე შესაბამისი კომისიის სხდომის, ბიუროს ან საკრებულოს სხდომების პროცესში განხორციელდეს. ხშირად სხდომამდე - საკითხის განხილვისას მსჯელობის შედეგად და აღმასრულებელი ორგანოს შესაბამის წარმომადგენელთან ერთად ხდება აქტის პროექტთან მიმართებაში საკითხის დაზუსტება“.

ასევე, საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენჯერ ისარგებლეს დეპუტატებმა საკრებულოს სხდომებზე სიტყვით გამოსვლის უფლებით. მოგვწერეს ზოგადად, რომ „მუდმივად ხდება განსახილველ საკითხებთან მიმართებაში აზრის დაფიქსირება“.

თავი 5. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

ახალციხის საკრებულომ სხდომების გაცდენებთან დაკავშირებით არასრულად გვიპასუხა. მათ საკრებულოს **39** დეპუტატიდან „ქართული ოცნების“ **10** დეპუტატის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს. ასეთი დეპუტატების სხდომებზე დასწრების სტატისტიკა, მათ მიერ 2023 წლის 1 ნოემბრამდე წარდგენილ ანგარიშებში ვნახეთ. თუმცა, ეს მონაცემები არასრულია.

საკრებულოს დანარჩენმა **29** დეპუტატმა 2023 წელს გამართულ **14** სხდომაზე **87-ჯერ** გააცდინა. მათ შორის მხოლოდ **7-ია** საპატიო.

ყველაზე მეტი - **10** სხდომა ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წევრმა, ბესიკ ოქრომელიძემ გააცდინა, 8-8 სხდომა გააცდინეს ამავე ფრაქციის წარმომადგენლებმა დავით ახალკაცმა და იოსებ დემერაძემ. მმართველი პარტიის დეპუტატებიდან ყველაზე მეტი 6 გაცდენა ზაზა მელიქიძეს აქვს.

საკრებულოს სხდომებზე დეპუტატების დასწრების სტატისტიკა შეგიძლიათ ნახოთ აქ.

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს კომისიების მიერ გამართულ **34** სხდომაზე 29 დეპუტატის მიერ **86** გაცდენა დაფიქსირდა და მათ შორის მხოლოდ 4 იყო საპატიო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არცერთ სხდომას არ დასწრებია ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წარმომადგენელი, ბესიკ ოქრომელიძე. ასევე **სოციალურ საკითხთა, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის** ყველა სხდომა გააცდინა ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წარმომადგენელმა, იოსებ დემეტრაძემ. ამ დეპუტატებმა გააცდინეს **ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის** ყველა სხდომა.

კომისიების სხდომების გაცდენების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ აქ.

თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები

ახალციხის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევაა თანამდებობის პირების მიერ არასრულად, ხარვეზებითშევსებული ქონებრივიდეკლარაციები. **გასათვალისწინებელია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს, არის თუ არა კვლევაში ნახსენები კომპანიები აქტიური, რადგან ამ მიზნისთვის საჭირო ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას.**

საკრებულოს **22** თანამდებობის პირიდან დარღვევები **6** დეპუტატის ქონებრივ დეკლარაციებში დაფიქსირდა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს, **ნოდარ ხითარიშვილს** 2024 წლის 28 მარტს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში, არ უწერია, რომ 1999 წლიდან შპს „გელა და კომპანიას“ 15% წილის მფლობელია და ეს წილი სამართავად სხვისთვის არ გადაუცია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს, **ზურაბ ბარძიმაძეს**, 2024 წლის 29 მარტს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ უწერია, რომ 2018 წლიდან ინდივიდუალური მეწარმეა. ასევე, არ უწერია, რომ მამა, ანზორ ბარძიმაძე კოოპერატივ „აწყურირძეს“ დირექტორია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს, **იოსებ კაპანაძეს**, 2024 წლის 2 თებერვალს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ უწერია, რომ მამა, ლევან კაპანაძე 2011 წლიდან ინდივიდუალური მეწარმეა.

ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარის მოადგილეს, **ქეთევან ბარძიმაძეს**, 2023 წლის 30 ნოემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ უწერია, რომ 2009 წლიდან ინდივიდუალური მეწარმეა. ასევე, არ აქვს მითითებული, რომ 2022 წლიდან „კოოპერატივ აგრო-მეურნეობა 2022-ის“ დირექტორია, 2020 წლიდან კი შპს „ეკოპარკი 2021-ის“ დირექტორი და 100% წილის მფლობელი, რაც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონით დარღვევაა. მას წილი სამართავად სხვისთვის უნდა გადაეცა, დირექტორის პოზიცია კი დაეთმო.

გარდა ამისა, არ უთითებს რომ შვილი ამირან ბარძიმაძე 2013 წლიდან ინდივიდუალური მეწარმეა, 2014 წლიდან შპს „საქართველოს ბიზნეს ცენტრი 2014-ის“ დირექტორი და 50% წილის მფლობელი, 2016 წლიდან კი კოოპერატივ „ფერმერის ხელში“ ასევე დირექტორის პოზიცია უკავია.

ქეთევან ბარძიმაძე არც იმას წერს ქონებრივ დეკლარაციაში, რომ შვილი მარიამ ბარძიმაძე 2022 წლიდან „კოოპერატივ აგრო-მეურნეობა 2022-ის“ წევრია.

ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარის მოადგილე, **კობა სანდროშვილი**, 2023 წლის 27 ივლისს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში უთითებს, რომ „კრედო ბანკის“ კონსულტანტია, საიდანაც შემოსავლის სახით, 2022 წლის განმვლობაში 3,084 ლარი მიიღო. რაც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონით შეუთავსებელი საქმიანობაა.

ფრაქცია „ახალციხე-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, **გიორგი გიორგაძე**, 2024 წლის 27 მარტს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში უთითებს, რომ შპს „საბას“ დირექტორი და 100% მფლობელია. მას დირექტორის პოზიცია უნდა დაეთმო, წილი კი სამართავად სხვისთვის გადაეცა.

თავი 7. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

როგორც საკრებულოდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ, საკრებულოს სხდომები ანონსდება საკრებულოს ფეისბუქის გვერდზე, ასევე საინფორმაციო დაფაზე. თუმცა, საანგარიშო პერიოდში გამართული 14 სხდომიდან, კანონის მოთხოვნათა დაცვით, ერთი კვირით ადრე, არცერთი სხდომა არ დაანონსებულა.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულოში ერთი პეტიცია შევიდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ სამოქალაქო საბჭოების ინიციატივით მომზადდა საკითხი „ქალაქ ახალციხეში შშმ პირთა საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ფართის გამოყოფის შესახებ“, **რომელიც საკრებულომ არ დაარეგისტრირა.** პეტიციას ხელს 400 მოქალაქე აწერდა. საკრებულოს პოზიციით, „პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას”.

საკრებულოს ცნობით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში **მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით**:

- შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიცაა საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- შექმნილია საზოგადოებრივი დარბაზი;
- საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლე-ახალგაზრდებთან, ტარდება შეხვედრები დეპუტატებთან;
- გაიმართა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. მასში არასამთავრობო სექტორის, მედიის და საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ;
- დეპუტატები აქტიურად მართავენ შეხვედრებს მოსახლეობასთან;

დეპუტატების ანგარიშები

2023 წელს, საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით ანგარიში **39** დეპუტატიდან **32-მა** წარადგინა. მოქალაქეებისთვის ანგარიში არ წარუდგენია ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ ექვსივე წევრს და უფრაქციო დეპუტატს, მარიამ დალალიშვილს.

გასული წლებისგან განსხვავებით, 2023 წლის **ანგარიშის ფორმებიდან გამქრალია შეკითხვა, თუ რამდენი ინიციატივა წარადგინა დეპუტატმა საკრებულოში**. ანგარიშებში, საკრებულოს წინაშე წარდგენილ 7 წინადადებასა და ინიციატივაზე საკრებულოს მხოლოდ 4 დეპუტატი - დავით ტაბატაძე, ამბარცუმ ბაბოიანი, მარინე აბულაძე და ტარიელ ტაბატაძე მიუთითებენ.

- **27** დეპუტატი წერს, რომ ჯამში **167** შეხვედრა გამართა.
- მარინე აბულაძეს, ტარიელ ტაბატაძესა და გიორგი გიორგაძეს არცერთი შეხვედრა არ გაუმართავთ. გამართული შეხვედრების რიცხვს არ უთითებენ დავით ლომიძე და მარიამ გოგოლაძე.
- სიმონ გელაშვილი მოსახლეობასთან გამართულ 8 შეხვედრაში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს უთითებს.
- დამოუკიდებელი დეპუტატი ნონა ქოზაშვილი კი წერს, რომ მასთან გამართულ 8 შეხვედრაზე მოქალაქეებმა 4 სხვადასხვა საკითხი დასვეს. თუმცა ანგარიშიდან ვერ ვიგებთ, რომელიმე მათგანი მოგვარდა თუ არა, ან თვითონ დააყენა თუ არა ეს საკითხები შესაბამის უწყებებთან.

- მხოლოდ **11** დეპუტატი კი მიუთითებს, რომ მათი ჩართულობით, ჯამში, 35 კონკრეტული საკითხი გადაიჭრა, თუმცა **15** საკითხი მეორდება. მაგალითად, 4 დეპუტატი, ზოია ბალიაშვილი, ბესიკ ბლიაძე, დავით ტაბატაძე და დავით სამსონიძე მათი ძალისხმევით მოგვარებულ საკითხებს შორის ერთსა და იგივე პრობლემას - თამარაშვილის N6-ში ფასადისა და კანალიზაციის საკითხის გადაჭრას უთითებენ.

- ზოია ბალიაშვილი წლის განმავლობაში მისი ჩართულობით მოგვარებული 6 საკითხში იმასაც მიიჩნევს, რომ მოქალაქეს გაუწია კონსულტაცია დაკარგული პირადობის მისაღებად და ამის შემდეგ მან იუსტიციის სახლში პირადობა აიღო.

- „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის დეპუტატი მარინე აბულაძე კი წერს, რომ ახალციხის საკრებულომ 2023 წელს მხარი დაუჭირა მის წინადადებას სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვის შესახებ. თუმცა, აღნიშნული პროგრამა, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნებულ არა ერთ პოსტში ვკითხულობთ, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრის“ თანამშრომლობით დაინერგა.

- მხოლოდ ფრაქცია „ახალციხე - საქართველოსთვის“3 წევრი - გიორგი გიორგაძე, ტარიელ ტაბატაძე და მარინე აბულაძე უთითებენ ორ საკითს, რომელსაც მხარი არ დაუჭირეს: მერიასა და საკრებულოში საშტატო ნუსხისა და ხელფასების ზრდას.

თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ახალციხის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წელში:

- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება-დანერგვა არ განუხორციელებია;
- საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა არ განუხორციელებია;
- არ წარუდგენია წინადადებები და რეკომენდაციები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში;
- გენდერული თანასწორობის საბჭოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე განცხადებები არ შესულა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, პირველად განიხილა მომავალი (2024) წლის ბიუჯეტის პროექტი. ყურადღება გამახვილა სოციალურ, სპორტულ და კულტურულ პროგრამებზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს ჰქონდა წინადადება, რომ სოფლებში ახალგაზრდული ცენტრები და ბიბლიოთეკები შესაბამისად აღიჭურვოს. ისი აზრით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელი არ მიუწვდებათ და მხოლოდ ასე შეძლებენ ონლაინ გამართულ შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობას.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში 2023 წელს არ წარუდგენია.

თავი 9. საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება:

2023 წელს, ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა ჯამში **1,223,706** ლარი შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებში, დანამატებსა და ჯილდოებში, ჯამში, 58 კაცზე, სულ **1,123,491** ლარი გაიცა. მათ შორის აპარატის 19-მა თანამშრომელმა **337,015** ლარი მიიღო, როგორც სახელფასო ანაზღაურების, ასევე, დანამატებისა და ჯილდოს სახით. საკრებულოს თანამდებობის პირებზე სახელფასო ანაზღაურების სახით **662,112** ლარი გაიწერა.

სხვა ხარჯები

- ახალციხის საკრებულოს **14** თანამშრომლის მივლინებებზე ქვეყნის შიგნით, საანგარიშო პერიოდში, ჯამში **1,384 ლარი** დაიხარჯა

- ახალციხის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე **9,632 ლარის** ხარჯი გასწია.

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდულ საწვავს საკრებულოს ყველა თანამდებობის პირი საკუთარი მანქანისთვის იყენებს. ახალციხის საკრებულომ **33,251 ლიტრი** საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **89,199 ლარი** შეადგინა. გახარჯული საწვავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ აქ.

- საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შეკეთება-რეაბილიტაციისთვის 2023 წელს რა თანხა დაიხარჯა, საკრებულომ ინფორმაცია არ მოგვაწოდა.

2023 წელში ახალციხის საკრებულოსა და მისი აპარატის ხარჯები გაცემული შრომის და ხარჯების ანაზღაურება (ლარი):



სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯი (ლარი):

თანამდებობის პირების მიერ გახარჯული საწვავი (ლარი):

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხედველო საქმიანობაში, უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, უფრო ქმედითად უნდა ზედამხედველობდნენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესს და მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობას უფრო აქტიურად უნდა უწევდნენ ზედამხედველობას საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულომ კანონით დადგენილ ვადებში უნდა გასცეს საჯარო ინფორმაცია. ასევე, ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად ატვირთოს და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომების ოქმები.

- თანამდებობის პირთა დეკლარაციები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქციებმა აქტიურად უნდა შეისწავლონ და გააკონტროლონ მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგნენ საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთონ ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდიან თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერენ ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას.

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;

- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული უნდა იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს. რადგანაც ახალციხის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრებები მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში იმართება, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ გააქტიუროს ჩართულობის ეს მექანიზმი; მიმართოს მერს, რომ ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად, მისი შუამდგომლობით გაიმართოს დასახლების საერთო კრება.